ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 4

მოსწავლის რვეული

სახელი _____

გვარი _____

სკოლა _____

სასწავლო წელი _____

საქართველოო ლამაზო

1. სათანადო ადგილას დასვი ბრჭყალები:

ანა კალანდაძემ თავის ლექსში გამოიყენა გრიგოლ ორბელიანის ლექსის სტრიქონი: სხვა საქართველო სად არი?!

თავის ერთ-ერთ მოთხრობაში ილია ჭავჭავაძე იხსენებს სტრიქონებს:

თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან.

აკაკი წერეთლის ისტორიული მოთხრობის, „ბაში-აჩუკის“, გმირები კი ხშირად მიმართავენ შოთა რუსთაველის აფორიზმებს:

უგანგებოდ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელთა სპანი.

2. შეადგინე გამაფრთხილებელი წარწერა, რომ არ დააზიანონ გაზონები და ნარგავები:

_____

_____

გაიხსენე საქართველოს რომელიმე კუთხე.

დაწერე: ჩემი ქვეყნის ბუნება

იაკობ გოგებაშვილი

1. **გაიხსენე და ჩამოწერე რა და რა შექმნა იაკობ გოგებაშვილმა:**

2. **დააკვირდი მაგალითს, ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები:**

ჩემი წიგნი ჩვენი წიგნი

შენი წიგნი _____ წიგნი

მისი წიგნი _____ წიგნი

გაითვალისწინე შემდეგი მონაცემები: დაბადების თარიღი, ადგილი, მშობლები, ოჯახის სხვა წევრები, სად სწავლობ, რა გაინტერესებს და რა მოგწონს.

დაწერე შენი ავტობიოგრაფია.

დედაენა

1. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვი შესაბამისი პირის ან კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

_____ ქალაქ მცხეთაში ვცხოვრობ. _____ ქალაქი ყველაზე ლამაზია. აქ ხშირად ჩამოდიან ტურისტები. _____ ყურადღებით ეცნობიან ქალაქის უძველეს ძეგლებს. _____ უზარმაზარი ავტობუსები ხშირად დგანან სვეტიცხოველთან. უცხოელებს აოცებთ _____ ხელოვნება და ისტორია. ბაბუა მეუბნება ხოლმე: _____ ისეთი უძველესი ქალაქის მკვიდრი ხარ, _____ ქვეყნის ისტორია ძალიან კარგად უნდა იცოდეო.

2. გადახაზე არასწორად დაწერილი სიტყვები:

დედააზრი, დედა ბუნება, დედაბოძი, დედა ქალაქი, დედა მიწა,

დედაენა, დედაბუნება, დედაქალაქი, დედამიწა.

გაიხსენე შენ მიერ შესწავლილი ან წაკითხული მოთხრობები. რომელი მათგანი მოგწონს ყველაზე მეტად და რატომ?

დაწერე: მოთხრობა, რომელიც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა.

ბედნიერება

1. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, სულიერ არსებით სახელებს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვი, უსულოს – ორი:

სცივათ ხეებს, ბუჩქებს, ციყვებსა და კვერნებს, ბიჭი კი თბილად არის.
ჩვენ მეზობლად სამნი ცხოვრობენ: დედა, მამა და პატარა გოგონა.
მამამ გიორგის ველოსიპედი უყიდა, მაიკოს კი – დიდი თოჯინა.
ეზოში კაცი შემოვიდა, მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული, გვერდით კი მონადირე ძაღლი მოჰყვებოდა.

2. დააკვირდი მაგალითს: ფეხებმოკეცილი – ფეხები აქვს მოკეცილი. მოძებნე მოთხრობაში შესაფერისი სიტყვები და მიუწერე:

ტოტები აქვს დამძიმებული _____

ქეჩო აქვს აჯაგრული _____

ცხვირი აქვს გამოყოფილი _____

თავი აქვს დაღუნული _____

უპასუხე კითხვებს:

რას ნატრობს ბიჭი? რა არის მისთვის ბედნიერება?

ოცნება

1. ყურადღებით წაიკითხე წინადადებები. გაასწორე შეცდომები და ისე გადაწერე ტექსტი:

1. მე ჩემს მეგობარს უთხარი, თუ შენს საყვირზე დამაკვრევინებ, ჩემს ველოსიპედს გათხოვებ.
2. მე ნიკას უამბე დედა ქალაქში სტუმრობის ამბავი.
3. მე ყოველ დილას ვარჯიშობ, შენ კი ზარმაცობ.
4. მე გიორგის ურჩიე, ჯერ მოთხრობის დედა აზრი გაერკვია და შემდეგ დაეწერა თემა.

2. ამ ჩამონათვალიდან – დღეს, ხვალ, გუშინ, გაისად, შარშან, ახლა, წინათ, წელს – შეარჩიეთ სიტყვები და ჩასვით მრავალწერტილების ნაცვლად:

_____ გვიანამდე ვივარჯიშეთ, _____ ვისვენებთ, რადგან _____ გადამწყვეტი თამაში გვექნება.

გიორგი _____ ბაღში დადიოდა, _____ კი პირველი კლასის მოსწავლეა. _____ მისი დაიკოც წავა სკოლაში.

_____ ბაბუას ცხენებიც ჰყავდა. _____ კი მხოლოდ ძროხების ფერმა აქვს. მაგრამ დამპირდა, _____ რომ ჩამოხვალ, კვიცს დაგახვედრებო.

გამოიყენე წარსული დროის ზმნები. გაიხსენე რა ხდებოდა გუშინ და დაწერე თემა: გუშინ

ტყეში

1. ყურადღებით წაიკითხე ყველა წინადადება. შინაარსის გათვალისწინებით ჩასვი წინადადებებში შესაფერისი ზმნისწინიანი ფორმები – ახედა, ჩახედა, შეხედა, ამოხედა, გადმოხედა, გახედა:

1. გავიდა და აივნიდან _____ გაშლილ ჭალას.
2. ბიჭმა თავი გამოყო და ვარსკვლავიან ცას _____
3. პაპამ შვილიშვილს ქვევრიდან _____
4. ექიმმა ბავშვს პირი გააღებინა და ყელში _____
5. ჩამორჩენილმა მთამსვლელებმა წინამძღოლს დაუძახეს და მან ზემოდან _____

2. გაუსვი ქვეშ ხაზი სიტყვებს, რომლებსაც დაესმის კითხვა „ვინ“:

ერთხელ ნიკო პაპას და მის მეზობლებს – გოგიასა და ვალიკოს – ტყეში წაჰყვა. ხის ტოტებზე ჩიტები ფრთხიალებდნენ, შორიახლოს კოდალა აკაკუნებდა. ნიკო შორიახლოს იდგა და კაცებს უყურებდა.

დაწერე: როგორია დიდი დაბურული ტყე.

შემოდგომა

1. **დააკვირდი მაგალითს, (დაბმა) პაპას ნიკორა ეზოში დაუბამს.**

   ჩასვი მოცემული სიტყვები სათანადო ფორმით:

   (დადგმა) დედას მაგიდა ეზოში _____

   (ჩაცმა) მაიკოს ახალი კაბა _____

   (დასმა) დიდედას კრუხი საბუდარში _____

   (დარტყმა) ნიკოს თავისი ძმისთვის ერთხელაც არ _____

2. **სად რას ინახავენ? შეაერთე ხაზებით:**

ბელელში	თივას
მარანში	სიმინდს
საბძელში	ხორბალს
სასიმინდეში	ბზეს
სათივეში	ღვინოს

დაწერე: როგორ დგება შემოდგომა ჩემს ეზოში

1. მოუძებნე ბრუნვათა სახელწოდებებს შესაბამისი ფორმები და შეაერთე ხაზებით:

სახელობითი	ქალის
მოთხრობითი	ქალო
მიცემითი	ქალად
ნათესაობითი	ქალი
მოქმედებითი	ქალით
ვითარებითი	ქალმა
წოდებითი	ქალს

2. დააკვირდი სიტყვის ბრუნვის ნიშნებს და მიუწერე ბრუნვათა სახელწოდებები:

_____ – მერხ**ი**

_____ – მერხ**მა**

_____ – მერხ**ს**

_____ – მერხ**ის**

_____ – მერხ**ით**

_____ – მერხ**ად**

_____ – მერხ**ო**

3. წაიკითხე ტექსტი, დააკვირდი სიტყვას ბიჭი და ამოწერე ამ სიტყვის ბრუნვის ფორმები. შემდეგ ჩამოწერე თანმიმდევრობით შვიდივე ბრუნვის სახელწოდება და მიუწერე ამ სიტყვის შესაბამისი ფორმები:

იყო ერთი ზარმაცი ბიჭი. ამ ბიჭს ლოგინში გორაობას არაფერი ერჩივნა. ბიჭის დედა სულაც არ ამაყობდა ამ ბიჭით. ერთხელ ბიჭმა შემთხვევით მოისმინა დედის საუბარი, – ამის შემყურეს სიცოცხლის ხალისი მეკარგებაო. ის დღე იყო და ის დღე, ეს ზარმაცი საუკეთესო ბიჭად იქცა. „ყოჩაღ, ბიჭო!“ აქებდნენ მეზობლები.